ვედრება

მოდი, მოდი, განთიადო,
მოდი, მოუთმენლად გელი,
მზეო, მალე ამობრწყინდი,
მადლიანო, რაღას ელი?!
გუშინ ჩიტი ჩემს ფანჯრის წინ
დაფრინავდა, სრიალებდა,
ციკჭიკით და გალობითა
სულ მე შემომტრიალებდა.
ბოლოს მინას ფრთა დამიკრა
სამჯერ მკვირცხლად ზედიზედა,
მამყნო, მამცნო, რომ ამ დილით
შორის გზიდან მომდის დედა.
ვიცი მოაქვს საახალწლოდ
ბევრი, ბევრი ტკბილეული,
ნაზუქი და შოთი პური
მთვარესავით მილეული,
მაგრამ მე მათ რას დავეძებ,
მშობელს ველი სულით, გულით,
მინდა, მინდა დროზე. დავტკბე
მხოლოდ დედის სიყვარულით.
გადავეჭდო როგორც ვაზი,
ძვართქლასავით ზედ დავეწნა,
განთიადო, თუ გწამს ღმერთი,
ნუღარ გინდა მეტი ხვეწნა.
გული ხტის და გული ჩქროლავს.
აღარ მინდა დავიძინო,
მზეო, მთელი ქვეყნის დედავ,
ბევრი აღარ მალოდინოს.

1915 წ.